

სიტყვა „ინტერაქცია“ პედაგოგიკის თეზაურუსში

ჯემალ ჯინჯიხაძე პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, პედაგოგიკის დეპარტამენტი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: jemal.jinjikhadze@gmail.com

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ინსტიტუტმა

აბსტრაქტი. სიტყვები: ინტერაქცია, ინტერაქტიური და სხვა მისთანები ახალი შემოსულია ქართულ ლექსიკაში, შემოიტანა იგი ახალმა სიომ ქართულ განათლებაში, ქართული განათლების სისტემის ახალმა რეფორმამ. მაგრამ დამკვიდრდა გარკვეული ქაოსი. თანამედროვე პედაგოგიკურ ლიტერატურაში ხშირად არასწორად, უადგილო ადგილას და ერთმანეთში არევიტ იხმარება სიტყვები: **ინტერაქციული, ინტერაქტიური, ინტერაქტიული.** მათი მნიშვნელობებიც არეულია ერთმანეთში. სტატიაში ყოველმხრივ გამოკვლეულია საკითხი და დადგენილია, რომ ქართული ენის ლექსიკაში, პედაგოგიკის თეზაურუსში, უნდა შევიდეს განხილულ თემასთან დაკავშირებული მხოლოდ ორი ტერმინი: **ინტერაქციული** და **ინტერაქტიური.** პირველი მათგანი მომდინარეობს სიტყვიდან **ინტერაქცია**, -ულ სუფიქსის მეშვეობით, ხოლო მეორე - სიტყვიდან **აქტიური**, ზედსართავული **ინტერ-**ის დართვით. დანარჩენი სიტყვები: **ინტერაქტიული** და სხვა მისთანები ენის დანაგვიანებას გამოიწვევს.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგია, ლექსიკა, სიტყვა, ინტერაქცია, ურთიერთობა, ურთიერთქმედება, ინტერაქცია, ინტერაქციული, ინტერაქტიური.

სიტყვები: **ინტერაქცია, ინტერაქტიური** და სხვა მისთანები არც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განიხილება და არც ორთოგრაფიულში. ეს სიტყვები

ახალი შემოსულია ქართულ ლექსიკაში, შემოიტანა იგი ახალმა სიომ ქართულ განათლებაში, ქართული განათლების სისტემის ახალმა რეფორმამ.

შემოიტანა, მაგრამ დამკვიდრდა გარკვეული ქაოსი. თანამედროვე პედაგოგიკურ ლიტერატურაში ხშირად არასწორად, უადგილო ადგილას და ერთმანეთში არევით იხმარება სიტყვები: **ინტერაქციული, ინტერაქტიური, ინტერაქტიული**. მათი მნიშვნელობებიც არეულია ერთმანეთში [1,62].

განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი თანამედროვე ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონისა და ციფრული უნივერსალური სასკოლო ლექსიკონის მიხედვით „ინტერაქცია არის ორი ან მეტი ადამიანის მიერ ერთმანეთისადმი, სხვა საგნების ან მესამე პირისადმი ყურადღების მიქცევა“ [2].

ეს სწორი არ არის. ინტერაქცია არ არის მარტო ყურადღების მიქცევა, ინტერაქცია გაცილებით უფრო რთული ფსიქიკური პროცესია. საჭიროა მეტი გარკვევა ამ საკითხში.

საზოგადოდ, ცნობილია ასეთი განსაზღვრა:

ინტერაქცია - ადამიანთა ურთიერთ(მო)ქმედება ურთიერთობისას, საერთო საქმიანობის დაგეგმვა, ერთობლივი საქმიანობის ორგანიზაცია, ფსიქოლოგიური ზემოქმედება ერთმანეთზე ...

ადამიანთა დიალოგი შედგება წინადადებებისგან, მაგრამ სინამდვილეში, რეალურ ვითარებაში, წინადადებათა შორის უხმოდ, შინაგანად მიმდინარეობს გარკვეული ორმხრივი, ერთობლივი ფსიქიკური პროცესი, განპირობებული დიალოგში მონაწილეთა გულისა და გონების ურთიერთჰარმონიულობით, რომელიც, თავის მხრივ, დიალოგში მონაწილე ადამიანთა ერთმანეთის მიმართ განწყობებითაა განპირობებული. სწორედ ეს პროცესია **ინტერაქცია**. ინტერაქცია დიალოგს აქცევს უწყვეტ პროცესად.

ე. ი. დიალოგი არ არის დისკრეტული, მხოლოდ წინადადებათა ერთობლიობა, იგი უწყვეტი პროცესია, უწყვეტი ფსიქიკური პროცესი, უწყვეტია დროშიცა და სივრცეშიც.

მართალია, როცა დიალოგი წერილობითაა მოცემული, მაშინ მკითხველი მხოლოდ წინადადებებს კითხულობს, მაგრამ, თუ მკითხველი გონიერია, თავისი გამჭრიახი გონების წყალობით შეუძლია წინადადებებს შორის ამოიკითხოს,

როგორი იყო დიალოგში მონაწილეთა განწყობები ერთმანეთის მიმართ, რას გრძნობდნენ, რას განიცდიდნენ, როგორ ზემოქმედებდნენ ერთმანეთზე, როგორ უთავსდებოდა აზრების გამოხატვაში თითოეულის გული და გონება ერთმანეთს და ა. შ.

ეს უფრო ადვილია დიალოგის მსმენელისათვის, მაყურებლისათვის. ის ხედავს დიალოგში მონაწილეთა ქცევებს, სახის გამომეტყველებას, მიმიკას და სხვ.

ასე, რომ ინტერაქცია უმნიშვნელოვანესია ყველა თვალსაზრისით, განსაკუთრებით - პედაგოგიურით.

როგორც ჩანს, ინტერაქციის ცნება დაკავშირებულია ურთიერთქმედებისა და ურთიერთობის ცნებებთან.

ურთიერთქმედება - ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფების ზემოქმედება ერთმანეთზე როგორც უწყვეტი დიალოგი. ურთიერთქმედება არის ინდივიდების ქმედებები, რომლებიც ერთმანეთისკენაა მიმართული.

ურთიერთობა შედგება სამი ასპექტისაგან - კომუნიკაციის, პერცეფციისა და ინტერაქციისაგან. საინტერესოა ამ უკანასკნელის განხილვა ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის თვალსაზრისით.

ინტერაქციის ცნება იმთავითვე სოციოლოგიაში გაჩნდა, იქ დაიბადა.

სიტყვა **ინტერაქცია** ინგლისურია და ნიშნავს ურთიერთქმედებას. ეს ტერმინი მეცნიერებაში ამერიკელი ფსიქოლოგისა და სოციოლოგის - **ჯორჯ ჰერბერტ მიდის** (1863-1931) მიერაა შემოღებული [3, 112]. მიდის თეორიის მიხედვით სოციუმში გავრცელებული ქცევა განისაზღვრება არა ცალკეული ადამიანების საქციელთა ნაკრებით, არამედ რთული ჯგუფური საქმიანობით. ამიტომ ინტერაქციონისტული მიდგომის მომხრე მკვლევართა ინტერესის ფოკუსში მოხვდა ურთიერთქმედების შემდეგი კატეგორიები:

- აზრებისა და გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლა,
- ერთიანი სტრატეგიის მიღწევა,
- ურთიერთგაგების მოწესრიგება,
- კონფლიქტის გამწვავება (არაეფექტური ინტერაქციის მაგალითი),
- ემპათიის გაჩენა თანამოსაუბრისადმი [4, 761].

ინტერაქციის თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა. ასე, მაგალითად, რუსი და ამერიკელი სოციოლოგი **პიტირიმ სოროკინი** (1889-1968) თავის შრომებში გამოყოფს ინტერაქციის შემდეგ ნიშნებს:

- იმისათვის, რომ ინტერაქცია განხორციელდეს, როგორც მინიმუმი, აუცილებელია ორი მხარის არსებობა,
- მნიშვნელოვანია ურთიერთობის არავერბალური ასპექტები,
- პარტნიორების აზრები და გრძნობები ერთმანეთს რეზონანსს უნდა აძლევდეს [4, 761].

ეს ტერმინი სოციოლოგიიდან ფსიქოლოგიაში გადავიდა. ეს უჩვეულო მოვლენა გახლავთ, რადგანაც ტრადიციულად, ჩვეულებრივ, პირიქით ხდება ხოლმე, ცნება ფსიქოლოგიიდან გადადის სოციოლოგიაში.

ცნება **ინტერაქციას** ფსიქოლოგიაში შემდეგი განსაზღვრები აქვს:

- ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთგავლენა;
- კონცეფცია, რომელიც განსაკუთრებით ემყარება ურთიერთქმედებას, სხვადასხვა ვერბალურ და არავერბალურ საშუალებათა გამოყენებით;
- ურთიერთობის მონაწილეთა ერთობლივ ქმედებათა რეალიზაცია [5, 39].

ინტერაქციის სტრატეგიები (სახეები) - ეს არის ადამიანის ქცევის განსაკუთრებული შაბლონები სხვა ადამიანებთან მისი ურთიერთქმედების პროცესში.

დღეს მეცნიერებაში გამოყოფენ ინტერაქციის ხუთ ძირითად სტრატეგიას:

1. **თანამშრომლობა** - ხასიათდება პარტნიორების დაინტერესებით ერთობლივ ქმედებებში, ასევე, შეთანხმებულ ძალისხმევაში საერთო მიზნის მისაღწევად, ფსიქოლოგიური თავსებადობითა და ურთიერთსიმპათიით.
2. **მეტოქეობა** - თავისი არსით ურთიერთქმედების საწინააღმდეგო სახე, რომლის თავისებურებაა ქონა საერთო მიზნისა, რომლის მიღწევა შეუძლია ინტერაქციის მხოლოდ ერთ მონაწილეს. სხვა მხარეები წარმოადგენს დაბრკოლებებს, რომელთა ნეიტრალიზაცია, თუნდაც ნაწილობრივი, აუცილებელია. მეტოქეობას ხშირად კონფლიქტები მოსდევს.
3. **კომპრომისი** - მიზნის მიღწევის პლანში ინტერაქციის ყველაზე რთული სახე. იგი ეფუძნება ურთიერთდათმობის იდეას. მისი სირთულის მიუხედავად, ეს არის სოციუმში ინტერაქციის საკმაოდ გავრცელებული სახე, რამდენადაც ადამიანები

და სოციალური ჯგუფები ცხოვრებაში ბევრია, ხოლო ის სიტუაციები, როცა მათი ინტერესები ერთმანეთს სრულად ემთხვევა, საკმაოდ იშვიათია.

4. **შეგუება** - ეს ის სტრატეგიაა, როცა ინდივიდი ან ჯგუფი, ექვემდებარება რა უფრო ძლიერ პარტნიორს, თავის ინტერესებს სწირავს. შეგუება შეიძლება იყოს როგორც გაცნობიერებული, ისე გაუცნობიერებელი.
5. **თავიდან აცილება** - კონტაქტებისთვის, პასუხისმგებლობისთვის, პრობლემის გადაწყვეტისთვის თავის არიდებისკენ სწრაფვა.

მკვლევარები პირველ სამ სტრატეგიას განიხილავენ როგორც შედეგიანს, ხოლო ბოლო ორს - როგორც არაეფექტურს. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ შეგუება და თავის არიდება კი არ წყვეტს პრობლემას, არამედ იწვევს მის კიდევ უფრო გამწვავებას ან - ფსიქიკურ მოშლილობებს, ფრუქტაციებს, შიგაპიროვნულ კონფლიქტებს და ა. შ.

ცნება **ინტერაქცია** იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ გაჩნდა მთელი მიმართულება **ინტერაქციონიზმი** (< ინგლ. *Interaction* ურთიერთქმედება, ზემოქმედება ერთმანეთზე).

სიტყვიდან **ინტერაქცია** იწარმოება სიტყვა **ინტერაქციული** (და არა **ინტერაქტიული** ან მისთანა სხვა რომელიმე).

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამინისტროს მიერ გამოცემულ წიგნებში განიხილება **ინტერაქციული სწავლება**. ეს სწორი არ არის. სწავლება არ შეიძლება იყოს **ინტერაქციული**. მართალია, სწავლება **ინტერაქციებით** გაჟღენთილი უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სწავლება **ინტერაქციულია**. **ინტერაქცია** ფსიქიკური პროცესია და არა სწავლების მეთოდი. სწავლებაში, მაგალითად, **ყურადღებაცაა** საჭირო და **მეხსიერებაც**, მაგრამ სწავლებას რომ დავარქვათ **ყურადღებიანი** ან **საყურადღებო**, ან კიდევ, **მეხსიერული**, - ეს აბსურდი იქნება.

სწავლების **ინტერაქტიური მეთოდი** არის მასწავლებლისა და მოსწავლეთა ურთიერთმოქმედების ისეთი ფორმა, სადაც ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებენ არა მხოლოდ მასწავლებელი და მოსწავლეები, არამედ - მოსწავლეებიც. ერთმანეთთან ყველა დიალოგშია. მოსწავლე თავის თავთანაცაა დიალოგში რეფლექსიის მეშვეობით.

რაც შეეხება ტერმინს **ინტერაქტიური**, აქ მთავარი სიტყვაა **აქტიური** და არა **ინტერ**. ამიტომ სიტყვა **აქტიური** შედგენილ ტერმინში უცვლელი რჩება. სწავლება შეიძლება იყოს **პასიური**, **აქტიური** და **ინტერაქტიური**.

მასწავლებელი ამუშავებს გაკვეთილის გეგმას, არჩევს და გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ წესრიგში მოჰყავს მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო პროცესში. მასწავლებელი ინტერაქტიური გაკვეთილის შემოქმედია, მაგრამ გაკვეთილის პროცესის ცენტრში სასწავლო საქმიანობის სუბიექტია - მოსწავლე.

მასწავლებელმა უნდა იცოდეს ერთი ჭეშმარიტება: სწავლების ხსენებული მეთოდებიდან ყველას თავისი ადგილი გააჩნია და საკუთარი ფუნქცია აკისრია. ისინი ერთმანეთს ვერ შეცვლიან. სადაც საჭიროა პასიური მეთოდი, იქ აქტიური ვერ გამოდგება, სადაც საჭიროა აქტიური მეთოდი, იქ პასიური მეთოდის გამოყენება დანაშაულია. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომელი როლის გამოიყენოს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი სიტყვა **სწავლებას** ასე განმარტავს: „რისამე შესახებ ცოდნის მიწოდება, რაიმე საქმიანობაში ვისიმე გაწაფვა, დახელოვნება“ [6, 1210].

ეს განსაზღვრა პედაგოგიკისათვის (მით უმეტეს მეთოდიკისათვის) ძალიან ცოტაა, უფრო მეტიც, უვარგისია. ცნება **სწავლება** გაცილებით უფრო ღრმაა და მისი განსაზღვრა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ამას ლექსიკონი იძლევა.

ამგვარად, ქართული ენის ლექსიკაში, პედაგოგიკის თეზაურუსში, უნდა შევიდეს განხილულ თემასთან დაკავშირებული მხოლოდ ორი ტერმინი: **ინტერაქციული** და **ინტერაქტიური**. პირველი მათგანი მომდინარეობს სიტყვიდან **ინტერაქცია**, -ულ სუფიქსის მეშვეობით, ხოლო მეორე - სიტყვიდან **აქტიური**, ზედსართავული **ინტერ**-ის წინ დართვით (შდრ. **ჰიპერაქტიური**). დანარჩენი სიტყვები: **ინტერაქტიული** და სხვა მისთანები ენის დანაგვიანებას გამოიწვევს.

ინტერაქციული და **ინტერაქტიური** სრულიად სხვადასხვა ცნებებია. **ინტერაქცია** არსებითი სახელია, **ინტერაქციული** კი - მისგან ნაწარმოები ზედსართავი; ხოლო **აქტიურიცა** და **ინტერაქტიურიც** ორივე ზედსართავია.

ლიტერატურა:

1. Jinjikhadze J. Matematikis dawyebiti kursis swavlebis metodika da teqნologia. Tbilisi, 2011.
2. Shubitidze T. Cifruli universaluri saskolo leqsikoni. http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=45&t=402&fbclid=IwAR3drKJhDRhOq845Zb2jUb_oRikljzIE50r-rmso_fkn5ifFr3KZoKqrOnc
3. Mid Djorj. Izbrannoe: Cbornik perevodov. Moskva, 2009.
4. Sorokin Pitirim. Socialnaia I kulturnaia Dinamika. Moskva, 2006.
5. Sovremennaia zapadnaia filosofia. Encikolpedicheski slovar /Pod. Red. O. Xeffe, V.S. Malaxova, V. P. Filatova, pri ychastii T.A. Dmitrieva. Moskva, 2009. S. 145. <http://ponjatija.ru/node/13686>
6. Qartruli enis ganmartebiti leqsikoni. T.VI. Tbilisi, 1960.

THE WORD “INTERACTION” IN PEDAGOGICAL THESAURUS

Jemal Jinjikhadze

Doctor of Pedagogical Sciences, Professor, Department of
Pedagogy, Sokhumi State University

E-mail: jemal.jinjikhadze@gmail.com

Presented by the Institute of Pedagogy and Methodology at the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences.

Abstract. The words: interaction, interactive, interactional and other related words have been recently introduced in Georgian vocabulary and brought into Georgian education, the new reform of Georgian education system. But this has caused some chaos. In modern pedagogical literature, the words are often used incorrectly, in the wrong place and mixing together.

In the article this issue has been thoroughly researched and stated that only two terms related to the discussed topic should be included in Georgian language vocabulary, in pedagogical thesaurus: “Interaction” and “Interactive”. The first of the words is derived from the word “Interactional” – “ინტერაქციული”, through the suffix –“ულ”-“ul”, and the second “ინტერაქტიური” is derived from the word “აქტიური” “Active” by adding adjective prefix “ინტერ”- “Inter”. Other similar words to interactive and other related words will cause language waste.

It should also be noted that in the books published by the Ministry of Education is considered interactive teaching. This is not correct. Teaching could not be interactive. It is true that teaching should be imbued with interactions, but this does not mean that teaching is interactive. Interaction is a mental process and not a teaching method. In teaching, for example, attention and memory are required, but to call teaching attentive or to be attentive, or even memorable, would be an absurd.

An interactive teaching method is a form of interaction between the teacher and student where not only teachers and students but also students interact with each other. Everyone has daily dialogues with each other. The student conducts a dialogue with himself/herself through reflection.

According to the modern Georgian encyclopedic dictionary and the digital universal school dictionary created by the Ministry of Education the word - "Interaction" means the attention of two or more people to each other, to other subjects or to a third person.

This is not correct. Interaction is not only paying attention, it is more complicated mental process. It is necessary to get more determination in this issue.

Generally is known such definition:

Interaction - is an action of people (their activity) between each other while their relationship, planning common activities, organizing joint activities, psychological impact on each other...

It seems that the notion of “Interaction” is related to the concept of mutual activities and relationship between the people.

Keywords: *Pedagogics, vocabulary, word, relationship, mutual activities , interaction, interactive, interactional.*